

დევოდ ჰუმე

David Hume

რელიგიის ბუნებრივი ისტორია

The Natural History of Religion

თარგმანი ინგლისური ენიდან  
ეკუთვნის დიმიტრი უჩანევიშვილს

გამომცემლობა აქტი  
თბილისი - 2022

შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ეკონომისტი,  
ესსეისტი და სახელმწიფო მოღვაწე, დევიდ პიუმი ბრიტანული  
განმანათლებლობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგუ-  
რაა და იმავდროულად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფი-  
ლოსოფოსად ითვლება, რომელიც ინგლისურ ენაზე ქმნიდა.

დევიდ პიუმის წიგნი „რელიგიის ბუნებრივი ისტორია“ ზოგ-  
ადად რელიგიის ფილოსოფიის დასაწყისად არის მიჩნეული.  
ტექსტი, რომელსაც გამოქვეყნების დროს (1757) სკეპტი-  
კურად და ეჭვის თვალით შეხვდენ, მომავალში რელიგიის ფი-  
ლოსოფიის კლასიკად იქცა. იგი საუცხოოდ ხსნის რელიგიური  
აზრის განვითარებას და ბრწყინვალე ფილოსოფიურ შენატანს  
ნარმოადგენს რელიგიის განმარტებაში.

---

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანევიშვილი  
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი  
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4244-3

## სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა .....	4
შესავალი .....	9
თავი I. ადამიანთა საცყისი რელიგია პოლიტენიზმი იყო .....	11
თავი II. პოლიტენიზმის წარმოშობა.....	18
თავი III. წინამორბედის გაზრდელება .....	23
თავი IV. ღვთავებებს არ მიიჩნევდნენ სამყაროს	
შემოქმედებად ან მომცულებად.....	31
თავი V. პოლიტენიზმის განსხვავებალი ფორმები:	
ალეგორია, გმირების თაყვანისცემა .....	40
თავი VI. თეიზმისა და პოლიტენიზმის წარმოშობა .....	47
თავი VII. გადმოცემული დოქტრინის დასაბუთება .....	55
თავი VIII. პოლიტენიზმისა და თეიზმის მოქცევა და მიქცევა ...	58
თავი IX. ამ რელიგიების შედარება დევნისა და	
შემცნერებლობის თვალსაზრისით .....	62
თავი X. გამანედაობისა და დამცირების შესახებ.....	68
თავი XI. გონიერებასა და უაზრობასთან მიმართებით .....	71
თავი XII. ეჭვებისა და დარწმუნებულობისათვის .....	75
თავი XIII. ღვთიური ბუნების შესახებ უკეთური	
წარმოდგენა ორივე სახის სახალხო რელიგიაში.....	92
თავი XIV. სახალხო რელიგიების ურიგო გავლენა ზეორბაზე ...	98
თავი XV. ზოგადი დასკვნა .....	106
შენიშვნები და განმარტებები .....	111
გამომცემლობა „აჭტა“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....	127

## მთარგმნელის წინასითყვაობა

შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ეკონომისტი, ესსეიისტი და სახელმწიფო მოღვაწე, დევიდ ჰიუმი ბრიტანული განმანათლებლობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა და იმავდროულად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვენლოვან ფილოსოფოსად ითვლება, რომელიც ინგლისურ ენაზე ქმნიდა.

შემეცნებისა და მორალის პრობლემებთან ერთად, ჰიუმი რელიგიის საკითხების კვლევითაც იყო დაკავებული. ამ სფეროში მის შექმნილ ნაწარმოებთა შორისაა „დიალოგები ბუნებრივი რელიგიის შესახებ“ და „რელიგიის ბუნებრივი ისტორია“.

ეს უკანასკნელი ადამიანის ბუნებაში რელიგიის ნარმოშობის კომპლექსურ და ნატურალისტურ ახსნას ნარმოადგენს, გვაწვდის რა რთულ და წინააღმდეგობრივ განმარტებას რელიგიის ნარმოშობისა, რაც, იმავდროულად, რელიგიური რწმენის კრიტიკაც არის. ეს ტექსტი სამართლიანად ითვლება საკვანძო ნაშრომად რელიგიის სოციალურ-მეცნიერულ კვლევათა განვითარებაში. ამ სფეროს სხვა პიონერებთან შედარებით ჰიუმი მრავალი მიმართებით არის

მეტად თანამედროვე, რომელთა შორისაა: წარმო-შობის პრობლემასა და რწმენის პრობლემას შორის განსხვავება; მიზეზებზე და არა მოტივებზე ფოკუ-სირება; ინტერესი რელიგიის განმეორებადი და არა ერთჯერადი წარმოშობისადმი; ძიება რელიგიის არა-რელიგიური და არა უპირობოდ რელიგიური წარმო-შობისა; შედარებითი და არა პარტიკულარისტული მიდგომა; მისი ინდუქტიური და არა დედუქტიური მიდგომა; აქცენტი რელიგიის არარაციონალურ გან-ზომილებებზე, წაცვლად რაციონალურისა; ფოკუ-სირება რელიგიის გავლენასა და წარმოშობაზე; განსჯა რელიგიის განუზრახველი და არა განზრახუ-ლი შედეგების შესახებ; მის მიერ რელიგიის გამიჯვნა ეთიკისგან.

დევიდ ჰიუმის „რელიგიის ბუნებრივი ისტორია“ ზოგადად რელიგიის ფილოსოფიის დასაწყისად არის მიჩნეული. ტექსტი, რომელსაც გამოქვეყნების დროს (1757) სკეპტიკურად და ეჭვის თვალით შეხვდნენ, მომავალში რელიგიის ფილოსოფიის კლასიკად იქცა. იგი საუცხოოდ ხსნის რელიგიური აზრის განვითარე-ბას და ბრნყინვალე ფილოსოფიურ შენატანს წარ-მოადგენს რელიგიის განმარტებაში.

დიმითრი უჩანაიშვილი

ଓঠেৰ কুমাৰ

ବେଳିପାତାର ମହିନାର ଦିନର ଉଚ୍ଚତା

## შესაგალი

რადგან ნებისმიერი კვლევა, რომელიც რელიგიას ეხება, უპირველესი მნიშვნელობისაა, წარმოიშობა ორი განსაკუთრებული საკითხი, რომელიც გამოწვევის როლს ასრულებს ჩვენი ყურადღებისთვის, სახელდობრ, საკითხი, რომელიც ეხება მის საფუძველს გონებაში და საკითხი მისი წარმომავლობისა ადამიანის ბუნებიდან. საბედნიეროდ, პირველ კითხვას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს, შესაძლოა გაეცეს ყველაზე თვალსაჩინო, ან, სულ ცოტა, ყველაზე ცხადი პასუხი. სამყაროს კონსტრუქცია მთლიანობაში გონიერი შემოქმედის არსებობას მოწმობს; ხოლო, სერიოზულად დაფიქრების შემდეგ ვერც ერთი გონიერი მკვლევარი წამითაც ვერ განუდგება ჭეშმარიტი თეიზმისა და რელიგიის უმთავრესი პრინციპების რწმენას. მაგრამ, მეორე კითხვა, ადამიანის ბუნებიდან რელიგიის წარმოშობის შესახებ, მეტ სირთულეს თანხვდება. უხილავი და გონიერი ძალის რწმენა ერთობ ფართოდ იყო გავრცელებული კაცობრიობაში, ყველა ეპოქასა და ყოველ კუთხეში, მაგრამ ის შესაძლოა არც იმდენად უნივერსალური იყო, რომ გამონაკლისები არ დაეშვა და არც რაიმე ხარისხით ერთგვაროვანი – იდეებთან მიმართებით, რომლებსაც ის ამკვიდრებდა. თუ მოგ-

ზაურებსა და ისტორიკოსებს ვენდობით, არიან ხალხ-ები, რომლებსაც არანაირი რელიგიური განცდები არ გააჩნიათ. არ მოიძებნება ორი ერი, და რთულად თუ იპოვით ორ ადამიანს, რომელიც ზუსტად შეესაბამება ერთმანეთს ერთსა და იმავე გრძნობებთან მიმართებით. შესაბამისად, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასეთი წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება საწყისს იღებს პირველსაწყისი ინსტინქტის ან ბუნების პირველადი შთაბეჭდილებიდან, როგორიც ისეთია, რაც ბიძგს აძლევს საკუთარი თავის სიყვარულს, სქესთა შორის ლტოლვას, შთამომავლობის სიყვარულს, მადლიერებასა და აღშფოთებას, რადგან ყველა მსგავსი ინსტინქტი აბსოლუტურად უნივერსალურია ყველა ერსა და ეპოქაში და ყოველთვის აქვს ზუსტად განსაზღვრული ობიექტი, რომლის მიღწევას ის განუხრელად ესწრაფის. პირველადი რელიგიური პრინციპები მეორეული უნდა იყოს, ისეთები, რომელთა დამახინჯება იოლად არის შესაძლებელი სხვადასხვა შემთხვევითობებითა და მიზეზებით, და რომელთა მოქმედება გარემოებათა უჩვეულო დამთხვევის წყალობით შესაძლოა მთლიანად იქნეს აღვეთილი. ჩვენი წინამდებარე კვლევის საგანი სწორედ ის არის, თუ რას წარმოადგენენ ეს პრინციპები, რომლებიც პირველად რწმენას წარმოშობენ, და რას წარმოადგენენ ის შემთხვევითობები და მიზეზები, რომლებიც მიმართულებას აძლევენ მის მოქმედებას.

თავი I.

ადამიანთა საწყისი რელიგია პოლიტეიზმი იყო

ჩემი აზრით, თუ ადამიანთა საზოგადოების განვითარებას გავითვალისწინებთ უხეში საწყისიდან მეტი სრულყოფილების მდგომარეობამდე, პოლიტეიზმი, ანუ კერპთაყვანისმცემლობა, იყო და აუცილებლობის ძალით უნდა ყოფილიყო კაცობრიობის პირველი და უძველესი რელიგია. შევეცდები, რომ ეს შეხედულება შემდეგი არგუმენტებით დავასაბუთო.

უდავო ფაქტია, რომ დაახლოებით 1700 წლის წინ კაცობრიობა პოლიტეიზმის აღმსარებელი იყო. ზოგი ფილოსოფოსის საეჭვო და სკეპტიკური პრინციპი, ან თითო-ოროლა ერის თეიზმი, ისიც არცთუ მთლად წმინდა სახით, განხილვის ღირს საპირისპირო არგუმენტს არ წარმოადგენს. ამისათვის ისტორიის ცხად მოწმობას მივმართოთ. რაც უფრო ღრმად ჩავეშვებით ანტიკურობაში, მით უფრო მეტად ვხედავთ კაცობრიობას ჩაძირულს პოლიტეიზმში. არანაირი კვალი და ნიშანი მეტად სრულყოფილი რელიგიისა. კაცობრიობის უძველესი ჩანაწერები დღემდე მოწმობენ ამ სისტემას, როგორც საყოველთაოდ ჩამოყა-

ლიბებულ აღმსარებლობას. ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთხმად ადასტურებენ ამ ფაქტს. რა შეიძლება დავუპირისპიროთ ასეთ სრულ სიცხადეს?

წერილობითი და ისტორიული წყაროების შესაბამისად, კაცობრიობა ანტიკურობაში პოლითეიზმის მიმდევარი იყო. უნდა ვამტკიცოთ თუ არა, რომ მეტად ადრეულ ეპოქაში, როდესაც ადამიანისათვის უცნობი იყო დამწერლობა, ან ხელოვნებისა თუ მეცნიერების აღმოჩენამდე, ადამიანები წმინდა თეოზმის პრინციპებს აღიარებდნენ? სხვა სიტყვებით, სანამ ისინი უმეცრები და ბარბაროსები იყვნენ, ჭეშმარიტება აღმოაჩინეს, მაგრამ შემდეგ, როგორც კი ცოდნა და მანერები შეიძინეს, შეცდომაში შთავარდნენ?

მაგრამ, ასეთი მტკიცებით თქვენ არა მხოლოდ ალბათობას ეწინააღმდეგებით, არამედ ჩვენს აწინდელ გამოცდილებასაც, რაც ბარბაროსი ხალხის პრინციპებსა და შეხედულებებს ეხება. ამერიკის, აფრიკისა და აზიის ველური ტომები კერპთაყვანისმცემლები არიან. ამ წესიდან გამონაკლისი არ არსებობს, იმდენად, რომ თუ მოგზაური უცნობ მხარეში გაემგზავრებოდა და იქ იხილავდა ბინადრებს, რომლებისთვისაც ნაცნობია ხელოვნება და მეცნიერება, თუნდაც ასეთი ვარაუდის გამოთქმისას არის შანსი იმისა, რომ ისინი თეისტები არ არიან, შემდგომ კვლევამდე ამ საკითხთან დაკავშირებით ის კონკრეტულს ვერაფერს იტყოდა. მაგრამ, თუ ის აღმოაჩენდა, რომ ეს ადამიანები უმეცრები და ბარბაროსები არიან, შესაძლოა წინდანინ მიეჩნია ისინი კერპთაყვანისმცემლებად. რთულად, რომ მას შეცდომა მოსვლოდა.

## გამოშემლობა „პრიზ“-ს მიერ გამოცხადები წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით
5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
9. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
10. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქტი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – ძველი ონდური ფილოსოფია
26. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები
  
27. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
28. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები
  
29. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
  
30. გუსტავ ოე ბონი – მასების ფსიქოლოგია
31. გუსტავ ოე ბონი – ერების ფსიქოლოგია
  
32. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
33. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
34. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
  
35. ოშო – რა არის მედიტაცია?
36. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე
  
37. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
38. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი
  
39. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
40. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება
  
41. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
42. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
43. გიორგი გურჯაიევი – დანახული რეალური სამყაროდან
44. გიორგი გურჯაიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

45. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის.  
ნიგნი I
46. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის.  
ნიგნი II
47. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის.  
ნიგნი III
48. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის.  
ნიგნი IV
49. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
50. ორაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
51. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
52. ნონა ხიდეშელი – **Carpe diem**
53. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანპანი
54. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
55. უან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია
56. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
57. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
58. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება
59. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია